# CCIIR-ის წლიური ანგარიში

2019

# ჩვენ შესახებ

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი - CCIIR არასამთავრობო (NGO) კვლევითი ორგანიზაციაა, რომელიც 2005 წელს დაარსდა და სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტებს განათლების მიმართულებით,შეისწავლის განათლების სისტემაში/სფეროში არსებულ პრობლემებსა და შეიმუშავებს რეკომენდაციებს განათლების პოლიტიკის გასაუმჯობესებლად.

ორგანიზაციის მისიაა ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესს საქართველოში, მათში სახელმწიფო ენის განვითარებას, მათ სამოქალაქო განათლებასა და ჩართულობას სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

# ჩვენ შესახებ

CCIIR- ის საქმიანობა შემდეგ მიმართულებებს მოიცავს:

➢ განათლების პოლიტიკის შესწავლა და ანალიზი -ამ მიზნით ორგანიზაცია ახორციელებს თვისებრივ კვლევებსა და უწყვეტ მონიტორინგს, უზრუნველყოფს დიალოგს გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან და პოლიტიკის შემქმნელებთან.

➢ მულტილინგვური/მულტიკულტურული განათლება - ორგანიზაცია უზრუნველყოფს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას საქართველოში მრავალფეროვან გარემოზე, უზრუნველყოფს ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბებას; მონაწილეობს მულტიკულტურული განათლების პროგრამების, მრავალფეროვნების სწავლების კურიკულუმების შექმნასა და დანერგვაში უმაღლეს სასწავლებლებში.

➢ წიგნიერება და ორენოვანი წიგნიერება - ამ მიმართულებით ორგანიზაცია ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეებში კითხვის უნარების განვითარებას დონეებად დაყოფილი საკითხავი ტექსტებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო/მეთოდოლოგიური რესურსების შექმნით.

# ჩვენ შესახებ

➢ ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება - ამ მიზნით ორგანიზაცია ახორციელებს პროგრამებს სახელმწიფო ენის სწავლა-სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონების ბილინგვურ სკოლებში.

➢ მასწავლებელთა პროფესიული განვითარება-ამ მიმართულებით ორგანიზაცია ატარებს ტრენინგ-სემინარებსა და ვორქშოფებს ბილინგვური სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიებში, უზრუნველყოფს ინტერკულტურული ურთიერთობების ხელშემწყობი პედაგოგიური მიდგომების განვითარებას.

➢ პუბლიკაციების გამოცემა -ორგანიზაცია გამოსცემს პოლიტიკის დოკუმენტებს/კვლევის ანგარიშებს, ბილინგვურ საგანმანათლებლო და მეთოდოლოგიურ რესურსებს, ენის სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებს, ჟურნალებს, ელექტრონულ პროდუქტებს და სხვ.

# პროექტები

საქართველოს ახალგაზრდობის მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობისათვის მომზადება

ახალგაზრდების გაძლიერება ცხოვრებისეული ღირებულებების განვითარების გზით

საზოგადების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით

PITA - ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა

# საქართველოს ახალგაზრდობის მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობისათვის მომზადება

საქართველოს სხვადასხვა 11 უნივერსიტეტში „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების“ არჩევითი კურსი დაინერგა.

კურსის გავლის შესაძლებლობა ექნებათ როგორც საბაკალავრო პროგრამების ყველა მიმართულების სტუდენტებს, ისე ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის არაქართულენოვან სტუდენტებსაც.

„ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების“ არჩევითი კურსი ხელს შეუწყობს მრავალფეროვნების მიმართ სტუდენტების მგრძნობელობის გაძლიერებასა და მათში განსხვავებულის მიმართ მიმღებლობის გაზრდას, რაც მულტიკულტურული საზოგადოებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

# საქართველოს ახალგაზრდობის მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობისათვის მომზადება

- პროფესორებისა და ლექტორების პროფესიული გადამზადება
- კურსის მონიტორინგი
- მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის კურსის შეფასების და თვითშეფასების ინსტრუმენტების შემუშავება
- საერთაშორისო მრავალფეროვნების სკოლა ბოლზანოში

## 15 მონაწილე




## ღონისძიებები

| | |
|---|---|
| საჯარო ლექცია | 8 |
| სტუდენტების მიერ ორგანიზებული სხვადასხვა აქტივობა | 11 |

# საერთაშორისო მრავალფეროვნების სკოლა ბოლზანოში

# ახალგაზრდების გაძლიერება ცხოვრებისეული ღირებულებების განვითარების გზით

მიზანი

საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების გაძლიერება პოზიტიური სოციალური ცვლილებებისა და მნიშვნელოვანი თანამშრომლობისთვის.

- საზღვრისპირა 10 ქართულ და 10 აზებაიჯანულ სკოლაში შეიქმნა ახალგაზრდული ცენტრი.
- გადამზადდა 80 მასწავლებელი და 1500 მოსწავლე.
- შეიქმნა სასწავლო რესურსები

ჩატარდა 50-მდე
საგანმანათლებლო,
კულტურული და სპორტული
გაცვლითი  პროგრამა
ბენეფიციართა მონაწილეობით
აზერბაიჯანისა და საქართველოს
სამიზნე რეგიონებიდან.

ცხოვრებისეული
ღირებულებების განათლების
პროგრამა ინტეგრირებულია
სასწავლო პროგრამებში.
ბენეფიციარი:
80+ მასწავლებელი
5000+ მოსწავლე

100 ღირებულებებზე
დაფუძნებული კულტურული და
ფოლკლორული ნიმუში
შეგროვებულია და გამოიყენება
ახალგაზრდებისა და მათი
თემების მიერ.

# საზოგადების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით

## შეიქმნა რესურსები სკოლამდელი განათლების დაწესებულებებისთვის

| | | |
|---|---|---|
| 30 თემტური მასალა | 30 სახელმძღვანელო | მეთოდური გზამკვლევი |
| | | |
| აუდიო, ვიდეო რესურსები | ტრენინგები | ვებგვერდი<br>WWW.CLIL.GE |

# ტრენინგები დაწყებითი კლასის პედაგოგებისთვის

# რესურსები სკოლამდელი განათლების დაწესებულებებისთვის



ტურა ტყეში
ტოტს ტეხს

ზამთარი

ია, იასამანი, ტიტა,
ვარდი - ყვავილებია

# PITA - ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა

უმაღლესი განათლების მხარდამჭერი საინფორმაციო კამპანიია

საინფორმაციოკამპანიის სამიზნე ჯგუფს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები წარმოადგენდნენ. მასში ჩართულები იყვნენ თსუ-სა და ილიაუნის სტუდენტებისგან შემდგარი მობილური ჯგუფები. საბოლოო ჯამში, ორთვიანმა კამპანიამ ეთნიკური უნცირესობებით დასახლებული რეგიონების 13 მუნიციპალიტეტი, 73 სოფელიდა 1006 ბენეფიციარი მოიცვა.

## კვლევა

1+4 პროგრამით მოსარგებლე სტუდენტებისა და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა სახელმწიფო სტაჟირების პროგრამის ეფექტურობის ანალიზი.

## უნივერსიტეტთაშორისი ქსელი

12 უმაღლეს სასწავლებელს აერთიანებს, რომლებშიც საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში მიმდინარე 1+4 პროგრამა (ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამა ეთნიკური უმცირესობის სტუდენტებისთვის) ფუნქციონირებს.

www.uninet.ge

თსუ-ს ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამისთვის შეიქმნა MOODLE - ის პლატფორმა და ელექტრონული კურსები. პლატფორმა საშუალებას აძლევს პროგრამის ლექტორებსა და სტუდენტებს ქართული ენის სწავლა-სწავლების თანამედროვე, მოქნილი ელექტრონული ფორმატი გამოიყენონ, რომელიც სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს მოიცავს: შინაარსი, მეთოდები, შეფასების სისტემა, სასწავლო რესურსები/მასალები და სხვ.

unag
UN Association of Georgia

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

giz
Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

osce

CCIIR

WWW.CCIIR.GE
FB/CCIIR